არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სახელმწიფო თავშესაფრების/კრიზისული ცენტრების მომსახურების შეფასება

შესავალი

ძალადობის მსხვერპლ ქალთა მხარდაჭერის სისტემა საქართველოში კვლავ მრავალი გამოწვევის წინაშე დგას. 2023 წლის 1 ივლისიდან „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებების შედეგად, „მსხვერპლის სტატუსი“ აღარ წარმოადგენს თავშესაფრებსა და სხვა სერვისებზე წვდომის წინაპირობას, რაც მიზნად ისახავდა მხარდაჭერის სერვისებზე ხელმისაწვდომობის გამარტივებასა და ზრდას. თუმცა, ამ საკანონმდებლო ცვლილების დანერგვა ძირითადად სირთულეებს აწყდება მუნიციპალიტეტებში, რომელთა უმეტესობამ არ მოახდინა საკუთარი პროგრამების ადაპტირება კანონში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად, რაც სერიოზულად ართულებს ადგილობრივ სერვისებზე წვდომას და ამცირებს თავშესაფრებსა და ადგილობრივ თვითმმართველობებს შორის კოორდინაციის ეფექტიანობას.

გარდა ამისა, პრობლემად რჩება თავშესაფრების გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის სიმცირე, ძალადობაგამოვლილი ქალების მცირეწლოვანი ბავშვების მოვლის სერვისების არარსებობა და მონიტორინგისა და მხარდაჭერის მექანიზმების ნაკლებობა თავშესაფრის დატოვების შემდეგ. კვლევის შედეგებმა ასევე ცხადყო, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებთან პარტნიორობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს თავშესაფრის მუშაობის გაუმჯობესებაში, რაც კრიტიკულად მნიშვნელოვანია სერვისების ეფექტიანობისა და ხელმისაწვდომობის გასაზრდელად, და ძალადობაგამოვლილი ქალებისთვის მრავალმხრივი და მათ საჭიროებებზე მორგებული მხარდაჭერის უზრუნველყოფად.

მოკლე ანგარიში ეფუძნება ქალთა ფონდი „სოხუმის“ მიერ 2024 წლის მაის-ოქტომბერში ჩატარებულ კვლევას, რომელიც მოიცავდა 11 მუნიციპალიტეტს (ჩოხატაური, ქობულეთი, წყალტუბო, ქუთაისი, ხონი, თერჯოლა, სამტრედია, სენაკი, ზუგდიდი, წალენჯიხა, ხობი). თვისებრივი მეთოდებით (ინტერვიუები, ფოკუს-ჯგუფები) გამოიკითხა 52 რესპონდენტი, ხოლო რაოდენობრივმა კვლევამ მოიცვა 553 ქალი.

სამართლებრივი ჩარჩო

სტამბულის კონვენციის 23-ე მუხლი ადგენს, რომ სახელმწიფო ვალდებულია, უზრუნველყოს საკმარისი რაოდენობის **შესაფერისი და იოლად ხელმისაწვდომი თავშესაფრების გახსნა მსხვერპლისთვის,** განსაკუთრებით, **ქალებისა და მათი შვილებისთვის, უსაფრთხო საცხოვრებლის შეთავაზებისა და საკუთარი ინიციატივით, მათთან ურთიერთობის დამყარების მიზნით.**

თავშესაფრების სერვისი სახელმწიფო მხარდაჭერის სისტემის ფუნდამენტური ნაწილია, რომელიც მოიცავს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვას, დახმარებას და რეაბილიტაციას. ამ სერვისს სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა დახმარების სააგენტო („ზრუნვის სააგენტო“) უზრუნველყოფს.

საქართველოში ფუნქციონირებს **7** კრიზისული ცენტრი: თბილისი, ქუთაისი, გორი, ოზურგეთი, მარნეული, თელავი, ზუგდიდი და **5** თავშესაფარი: თბილისი, ბათუმი, სიღნაღი, ქუთაისი, გორი.

კრიზისული ცენტრების და თავშესაფრების ფუნქციები:

- ✓ კრიზისული ცენტრები უზრუნველყოფენ ძალადობაგამოვლილი ქალების ფსიქოლოგიურ-სოციალურ დახმარებას, ხოლო საჭიროების შემთხვევაში დროებით საცხოვრებლით მომსახურებას.
- ✓ თავშესაფრები სთავაზობენ დროებით საცხოვრებელს (4 თვიდან-10 თვემდე), ფსიქოლოგიურ, იურიდიულ და სამედიცინო დახმარებას, ასევე დაცვას.
- ✓ 2023 წლის 1 ივლისს „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის შესახებ“ განხორციელებული ცვლილების **თანახმად, „მსხვერპლის სტატუსი“ მხარდაჭერის სერვისებზე წვდომის წინაპირობა აღარ არის.**
- ✓ თავშესაფრის სერვისებზე წვდომა არ მოითხოვს სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობას, შემაკავებელ ან დამცავ ორდერს (მუხ. 18.2), და „ძალადობის ფაქტის“ დასადასტურებლად მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელი ჯგუფისთვის მიმართვა (მუხ. 16[1] ამოღებულია).
- ✓ თავშესაფრის სერვისის მიწოდება ან უარის თქმა ხდება ობიექტური კრიტერიუმებისა და სპეციალურად შემუშავებული ინსტრუმენტის საფუძველზე (მუხ. 18.3).
- ✓ თავშესაფარში ყოფნის ვადა გაიზარდა 3-დან 4 თვემდე, რაც საჭიროების შემთხვევაში შესაძლოა გაგრძელდეს (მუხ. 18.4).

მიგნებები

- კვლევის მონაცემები ცხადყოფს, რომ ძალადობაგამოვლილი ქალები ბევრად უფრო ხშირად მიმართავენ არასამთავრობო ორგანიზაციებს დაცვის მიზნით (52.3%) და უფრო ეფექტიანია მათი დახმარება პრობლემებთან გამკლავებაში (67.6%), ვიდრე სახელმწიფო თავშესაფრებისგან (28.1%). არასამთავრობო ორგანიზაციებმა ასევე უფრო მეტად შეძლეს ბენეფიციარებისთვის უსაფრთხო და დაცული გარემოს შექმნა (71.8%). ასევე, მათი ცნობადობაც უფრო მაღალია (125 შემთხვევა) სახელმწიფო სერვისებთან შედარებით (86 შემთხვევა) - ***(იხ. მატრიცა #1)***;
- თვისებრივი კვლევის მონაცემების თანახმად, **სერვისების გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება,** განსაკუთრებით მაღალმთიან და იზოლირებულ რეგიონებში. გეოგრაფიული სიშორის გამო, ქალებს სირთულეები ექმნებათ სერვისებზე დროული წვდომის მხრივ, რაც აფერხებს მათი საჭიროებების ეფექტიანად დაკმაყოფილებას. მიუხედავად იმისა, რომ ონლაინ სერვისების, მაგალითად კრიზისული ცენტრების მიერ შეთავაზებული ფსიქოლოგიური კონსულტაციების ონლაინ რეჟიმში მიწოდებამ გარკვეულწილად შეამსუბუქა პრობლემა, ის სრულად ვერ პასუხობს არსებულ საჭიროებებს;
- **არასამთავრობო ორგანიზაციები გამოირჩევიან მეტი მობილურობითა და მოქნილობით,** რაც მათ საშუალებას აძლევს, რეგიონებში, სოფლებსა და მაღალმთიან ზონებში ქალებს ფსიქოლოგიური და იურიდიული დახმარება ადგილზე მიაწოდონ. მაგალითად, მონიტორინგის დროს გამოკითხული არასამთავრობო ორგანიზაციები: „მერკური," ფონდი „სოხუმი" და „საფარი", GCRT-ი, აქტიურად მუშაობენ იმ ტერიტორიებზე, სადაც სერვისებზე წვდომა გეოგრაფიული და სხვა პირობების გამო შეზღუდულია, რაც მნიშვნელოვნად ამარტივებს ქალებისთვის დახმარების მიღებას;
- სახელმწიფო თავშესაფრებით მოსარგებლე ქალებისთვის ერთ-ერთი **მთავარი გამოწვევა თავშესაფრით სარგებლობის ვადაა** (4-დან 10 თვემდე), რაც უმეტეს შემთხვევაში არ არის საკმარისი დამოუკიდებელი ცხოვრების დასაწყებად. **თუმცა ქუთაისის თავშესაფრის წარმომადგენლის თქმით, ეს ინდივიდუალურია და დამოკიდებულია ქალის მოტივაციასა და შესაძლებლობებზე** - *„ზოგი მაქსიმალურად იყენებს ხელმისაწვდომ რესურსებს და სწრაფად იძენს დამოუკიდებლობისთვის საჭირო უნარებს, ზოგი ინერტულად ამჯობინებს თავშესაფარში დროებით კომფორტს შრომისა და განვითარების გარეშე";*
- ქუთაისის სახელმწიფო თავშესაფრისა და კრიზისული ცენტრის წარმომადგენლის თქმით, ისინი აქტიურად **ეხმარებიან ქალებს დასაქმებაში,** რაც მოიცავს სამუშაო ადგილების მოძიებას, ვებგვერდებზე რეგისტრაციას და პროფესიულ კურსებს (მაგ., ფონდ „სოხუმთან" მემორანდუმის ფარგლებში, ბენეფიციარებს სთავაზობს ფონდის კურსებს, როგორიცაა ჭრა-კერვა, პოლიმერული თიხის ნაკეთობები, კომპიუტერის საფუძვლები და მანიკიური/შილაკი და ა.შ.). თუმცა, **ქალების უმრავლესობა მცირეწლოვან ბავშვებთან ერთად იმყოფება, რაც დასაქმებისთვის მნიშვნელოვან დაბრკოლებას წარმოადგენს.**

მატრიცა #1
(რაოდენობრივი მონაცემები)

თავის დაცვის მიზნით მიმართეს:
არასამთავრობო ორგანიზაციები (52.3%)
სახელმწიფო თავშესაფრები/ კრიზისული ცენტრები (17.7%)

დახმარება პრობლემებთან გამკლავებაში:
არასამთავრობო ორგანიზაციები (67.6%)
სახელმწიფო თავშესაფრები/ კრიზისული ცენტები (28.1%)

თავი იგრძნეს დაცულად:
არასამთავრობო ორგანიზაციები (71.8%)
სახელმწიფო თავშესაფრები/ კრიზისული ცენტრები (27.5%)

ყველაზე კარგად იცნობენ:
არასამთავრობო ორგანიზაციები (125 შემთხვევა)
სახელმწიფო თავშესაფრები/ კრიზისული ცენტრები (86 შემთხვევა)

შენიშვნა 1: *რაოდენობრივი კვლევის რამდენიმე მონაცემი, რომლებიც ეხება მხოლოდ არასამთავრობო ორგანიზაციებს და სახელმწიფო თავშესაფრებს.*

შენიშვნა 2: *გასათვალისწინებელია, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების შემთხვევაში არ მოიაზრება მხოლოდ თავშესაფრები, თუმცა მნიშვნელოვან ნაწილს წამოადგენენ მისი ბენეფიციარი რესპოდენტები.*

„რთულია მცირეწლოვანი ბავშვების დედების დასაქმება, მაგრამ ამის ხელშეწყობა როგორც კერძო ბიზნესს, ისე სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ დამსაქმებლებს შეუძლიათ. როდესაც ჩვენგან ხდება მიმართვა, სამუშაო ადგილები იძებნება, თუმცა ქალებისთვის ხშირად ანაზღაურება არასაკმარისია, ხოლო სამუშაო საათების ხანგრძლივობა არახელსაყრელი, რადგან პატარა ბავშვების დატოვება უჭირთ. მნიშვნელოვანია, რომ დამსაქმებლებმა შესთავაზონ ნახევარ განაკვეთიანი პოზიციები, რაც განსაკუთრებით შეუძლია გააკეთოს სახელმწიფო აიპ-ებმა. ასევე, აუცილებელია ქალებთან მუშაობა, რათა მათ უკეთ გაიაზრონ დამოუკიდებელი ცხოვრების მნიშვნელობა და აქტიურად გამოიყენონ შეთავაზებული შესაძლებლობები."
– ქუთაისის თავშესაფრის სოციალური მუშაკი

მიგნებები:

- თვისებრივმა მონაცემებმა ცხადყო, რომ **სახელმწიფო თავშესაფრებში არასაკმარისია მცირეწლოვანი შვილების დედებისათვის სპეციფიკური საჭიროებების გათვალისწინება.** ფსიქოლოგიური და სოციალური დახმარების მიღების პროცესში დედებს ხშირად უწევთ შვილების მუდმივი ზედამხედველობა, რაც ამძიმებს მათ ისედაც რთულ ფსიქოლოგიურ მდგომარეობას და აფერხებს ეფექტიან რეაბილიტაციას. მნიშვნელოვანია **ბავშვის მოვლის სპეციალური სერვისების შექმნა და შესაბამისი კვალიფიციური პერსონალის შეთავაზება, რომელიც უზრუნველყოფს მცირეწლოვან ბავშვებზე ზრუნვას იმ პერიოდში, როდესაც დედები გადიან ფსიქოლოგიურ, სოციალურ დახმარებას, ან ესწრებიან გადამზადების კურსებს;**

- ძალადობაგამოვლილი ქალების მცირეწლოვან შვილებზე ზრუნვის საჭიროებაზე **არასამთავრობო ორგანიზაციები გაცილებით მოქნილად და ოპერატიულად რეაგირებენ**. მაგალითად, ფონდი „სოხუმის“ სარეაბილიტაციო ცენტრში **გამოყოფილია კვალიფიციური სპეციალისტი, რომელიც ზრუნავს მცირეწლოვან ბავშვებზე იმ პერიოდში, როდესაც დედა გადის ფსიქოლოგიურ ან სოციალურ დახმარებას;**

- **სერიოზულ გამოწვევას,** ქუთაისის თავშესაფარსა და კრიზისულ ცენტრში, **ფსიქოლოგის მუდმივი კადრის არარსებობა წარმოადგენს.** ფსიქოლოგიური დახმარება გარედან მოწვეული სპეციალისტების მეშვეობით (outsourcing) ხორციელდება, რაც ართულებს სერვისის უწყვეტობას. გარდა ამისა, გამოიკვეთა **მრავალენოვანი სერვისების საჭიროება.** მაგალითად, უკრაინელი ბენეფიციარისთვის საჭირო გახდა რუსულენოვანი ფსიქოლოგის დახმარება, რაც მხოლოდ ფონდი „სოხუმის“ ფსიქოლოგის ჩართულობით მოხერხდა;

- თავშესაფრის დატოვების **შემდეგ ქალებისთვის უსაფრთხო საცხოვრებლის უზრუნველყოფა კვლავ სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს.** უმეტეს მუნიციპალიტეტში ბინის ქირით უზრუნველყოფის პროგრამა რეგისტრაციის კრიტერიუმზეა დამოკიდებული, რაც გამორიცხავს იმ ქალების მხრიდან სერვისით სარგებლობას, რომლებიც ძალადობისგან თავის დაღწევის მიზნით, ახალ გარემოში ცდილობენ დამკვიდრებას.

„არასამთავრობო ორგანიზაციების თავშესაფრებში ქალებს აქვთ პროფესიული გადამზადების და დასაქმების საშუალება, რაც სასიცოცხლოა ყველა მსხვერპლი ქალისთვის. <u>კომბინირებული სერვისი</u> *არასამთავრობოს ჰქონდა ჩემს შემთხვევაში და თუ სახელმწიფო თავშესაფრებსაც აქვს ადგილზე ეს სერვისები, არის ორმაგად დასაფასებელი. თუმცა როგორც გავიგე იქ შეზღუდულია ყოფნის დრო და ასევე არ არის ადგილზე* ***დასაქმების სერვისი.“ – „ძდექის“ ბენეფიციარი***

„როგორ უნდა მივიდე ფსიქოლოგთან ან დავესწრო პროფესიული გადამზადების კურსებს? მითუმეტეს, როგორ უნდა დავიწყო მუშაობა, თუ არ ვიცი, ვისთან დავტოვო ჩემი მცირეწლოვანი შვილი? ძალიან მჭირდება, რომ თავშესაფარში იყოს ბავშვთა ოთახი ან ცენტრი, სადაც ჩემს შვილს მიმიხედავენ, მის განვითარებას და მეცადინეობას შეუწყობენ ხელს, სანამ მე ჩემს ცხოვრებას ვალაგებ.“- **ძალადობაგამოვლილი ქალი**

„მას შემდეგ, რაც დავიწყეთ ქალებისთვის სადღეღამისო, სარეაბილიტაციო სერვისის მიწოდება, მალევე გამოჩნდა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ფსიქოლოგიური ტრავმის ქვეშ მყოფი ქალისთვის საკუთარი სივრცის შექმნა. იმ დროს, როცა მცირეწლოვანი ბავშვების დედასთან მუშაობს ფსიქოლოგი, სოციალური მუშაკი, თუ იურისტი, ან მას უწევს ექიმთან ვიზიტი, თუ პროფესიული გადამზადების კურსებზე სიარული, ბავშვების მოვლა შესაბამისი სპეციალისტის მიერ ხდება. ეს ეხმარება როგორც ქალს, ისე ბავშვებს სტაბილური და უსაფრთხო გარემოს შექმნაში.“- **ქალთა ფონდი „სოხუმის“ წარმომადგენელი**

„რაც აქ ვმუშაობ, თითქმის ყველა ბენეფიციარი სხვა რეგიონის მკვიდრია. თუ ქალს ჩარიცხავენ ქუთაისის ან ბათუმის თავშესაფარში, აუცილებლად უნდა მოიძებნოს გამოსავალი ან მოხდეს გამონაკლისის დაშვება, რათა მას მიეწოდოს საჭირო დახმარება თავშესაფრის დატოვების შემდეგ. მნიშვნელოვანია, რომ ძალადობის მსხვერპლ ქალს არ შეეზღუდოს ბინის ქირით დახმარება მხოლოდ იმ რეგიონში, სადაც ის არის რეგისტრირებული. მთავარია, მსხვერპლმა შეძლოს უსაფრთხო და დამოუკიდებელი ცხოვრების დაწყება იქ, სადაც თავს დაცულად გრძნობს“ - **ქუთაისის თავშესაფრის სოციალური მუშაკი**

მიგნებები:

- თვისებრივი კვლევა ადასტურებს, **რომ „მსხვერპლის სტატუსის“, როგორც სერვისზე წვდომის წინაპირობის გაუქმება,** ჯერ არ ასახულა მუნიციპალურ პროგრამებში. შედეგად, ძალადობაგამოვლილ ქალებს, რომლებსაც არ გააჩნიათ „მსხვერპლის სტატუსი“, ან არ აქვთ შემაკავებელი ორდერი, არ მიუწვდებათ ხელი მუნიციპალური მხარდაჭერისა და დახმარების სერვისებზე; **ცალკეული მუნიციპალიტეტი კიდევ უფრო ზღუდავს სერვისებზე წვდომის კრიტერიუმს.** მაგალითად, ქუთაისის მუნიციპალიტეტის სოციალური პროგრამის ფარგლებში, ძალადობაგამოვლილ ქალებს ყოველთვიური 200 ლარიანი დახმარების **მიღება შეუძლიათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი იმყოფებოდნენ თავშესაფარში და დახმარებას თავშესაფრის დატოვების შემდეგ მოითხოვენ.** ეს არამხოლოდ მნიშვნელოვნად ზღუდავს დახმარების მიმღებთა რიცხვს, არამედ დამატებით ბარიერს უქმნის ქალებს, რომელთაც არ აქვთ თავშესაფრის გამოცდილება ან არ სურთ თავშესაფარში ცხოვრება;

- **გამოწვევას წარმოადგენს თავშესაფრის დატოვების შემდეგ მონიტორინგისა და ძალადობაგამოვლილი ქალების მხარდაჭერის სისტემის არარსებობა.** მიუხედავად იმისა, რომ ცალკეულ შემთხვევებში თავშესაფრის სოციალური მუშაკები ინარჩუნებენ კავშირს ყოფილ ბენეფიციარებთან, ეს დამოკიდებულია მათ პირად ინიციატივაზე და არ წარმოადგენს სტრუქტურულად გამართულ ან სისტემურ მიდგომას, რაც ქალების რეინტეგრაციისა და გაძლიერების პროცესს მნიშვნელოვნად ართულებს. **მნიშვნელოვანია, საუკეთესო პრაქტიკების გათვალისწინებით, გაძლიერდეს ძალადობაგამოვლილი ქალების შემდგომი მხარდაჭერის მექანიზმები,** როგორც ეს მაგალითად, ნორვეგიის მოდელში ხორციელდება, სადაც ქალის მიერ თავშესაფრის დატოვების შემდეგ, „ქეის მენეჯერები“ კოორდინაციას უწევენ დასაქმებას, საბინაო მხარდაჭერას და ფსიქოლოგიურ დახმარებას. ანალოგიურად, კანადის რეინტეგრაციის პროგრამები ხელს უწყობს გრძელვადიანი მხარდაჭერის უზრუნველყოფას და ქალების დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის საჭირო უნარების განვითარებას; ხოლო დიდი ბრიტანეთის IDVA მოდელი ითვალისწინებს „დამოუკიდებელი მრჩევლების“ მუდმივ ჩართულობას გაძლიერების პროცესში;

- **არასამთავრობო ორგანიზაციების** ბენეფიციარები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ **თავშესაფრიდან გამოსვლის შემდეგ ინარჩუნებენ მუდმივ კავშირს თავშესაფრის პერსონალთან, რაც მათ საშუალებას აძლევს საჭიროების შემთხვევაში მიიღონ დროული და მიზნობრივი დახმარება;**

- **მომავლის შიში და გაურკვევლობა,** ასევე ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს, რაც აფერხებს **ძალადობაგამოვლილ ქალებს თავშესაფარისთვის მიმართვაში.** ხშირ შემთხვევაში, ისინი არ არიან დარწმუნებულნი, შეძლებენ თუ არა საკმარისად გაძლიერებასა და საარსებო წყაროების უზრუნველყოფას დამოუკიდებელი ცხოვრების გასაგრძელებლად, უსაფრთხო გარემოს შესაქმნელად საკუთარი შვილებისთვის ისე, რომ არ მოუწიოთ კვლავ მოძალადე პარტნიორთან დაბრუნება.

„ვიცი ბევრი ფაქტი, როდესაც ძალადობის მსხვერპლი ქალები ვერ იღებენ მუნიციპალიტეტის სერვისებს, რადგან ითხოვენ შემაკავებელ ორდერს ან პოლიციის ჩარევას. თავშესაფრებში ჩარიცხვა გამარტივდა, მაგრამ თუ მსხვერპლ ქალს არ სურს პოლიციასთან ურთიერთობა ან თავშესაფარში მოხვედრა, თვითმმართველობაში დახმარების მოთხოვნით მაინც ვერაფერს მიიღებს. თითქოს რაღაც გამარტივდა, მაგრამ რეალურად ბევრ რამეში სირთულეები გაიზარდა. მაგალითად, ქუთაისის მუნიციპალიტეტი ცივად გვაბრუნებს უკან, თუ მსხვერპლი თავშესაფარში ნამყოფი არ არის. მუნიციპალიტეტმა უნდა მოარგოს სერვისები ბენეფიციარების საჭიროებებს, რადგან მხოლოდ ბიუჯეტში ჩანაწერი არაფრის მომტანია. ეს შესაძლებლობას მოგვცემს, უფრო თავისუფლად დავარწმუნოთ ქალები, რომ სახელმწიფო მათ გვერდით დგას და თავშესაფრიდან გასვლის შემდეგაც მათზე ზრუნვა გრძელდება.“ - **ქუთაისის თავშესაფრის სოციალური მუშაკი**

„არც ისე დიდი რაოდენობაა მსხვერპლების, რომლებსაც უნდათ თავშესაფარში შესვლა, თუმცა აქვთ სურვილი მიიღონ მუნიციპალური სერვისები და დახმარება... ეს ბრკოლდება „სტატუსის“ არქონის გამო... კანონი ამბობს ერთს და როცა გადავდივართ სტრუქტურებში, ვეჯახებით ბარიერს - ვხედავთ, რომ კანონში ცვლილება პარქტიკაში არ მოქმედებს. მუნიციპალიტეტს გაწერილი აქვს, რომ სერვისის მიღება შეუძლია მსხვერპლს, რომელსაც აქვს სტატუსი, შემაკავებელი ორდერი და ა.შ. - ***GCRT - სოციალური მუშაკი***

„ადგილებზე ოჯახში ძალადობის უამრავ შემთხვევას ვაწყდებით. ვაწვდით ინფორმაციას ქალებს სამართლებრივი დაცვის მექანიზმებზე და ქვეყანაში არსებულ სერვისებზე, ვთავაზობთ დროებით თავშესაფარში გადაყვანას, მაგრამ ბევრს ნაბიჯის გადადგმა უჭირს, რადგან შიშობს - თავშესაფარი დროებითია, მერე რა ქნას? სად წავიდეს? შეძლებს თუ არა გახდეს თვითკმარი, რომ აღარ მოუწიოს ძალადობრივ გარემოში დაბრუნება, სადაც არამარტო მოძალადე ქმარი დახვდება, არამედ ოჯახის წევრების და საზოგადოების განსჯაც? ხშირად, სწორედ ეს შიში უშლის ხელს რეალური ნაბიჯების გადადგმისგან.“ - **სათემო ლიდერი, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი (ზუგდიდის მუნიციპალიტეტი)**

მიგნებები:

- **ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის შემთხვევები კვლავ უმთავრესი მიზეზებია, რის გამოც ქალები თავშესაფარს მიმართავენ.** თუმცა, აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში გაიზარდა თავშესაფარზე მომართვიანობა ეკონომიკური ძალადობის შემთხვევებთან დაკავშირებით. ეს მიუთითებს იმაზე, რომ ქალები უფრო მეტად აღიარებენ ეკონომიკური ძალადობის არსებობას. თუმცა, თვისებრივი კვლევა ცხადყოფს, რომ ეკონომიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა, კვლავ ყველაზე შეუმჩნეველი და ნაკლებად აღიარებული ფორმაა, როდესაც ქალები ხშირად ვერ აცნობიერებენ, რომ ძალადობის ციკლში იმყოფებიან;

- ზოგადად, როგორც არასამთავრობო, ასევე სახელმწიფო თავშესაფრების/კრიზისული ცენტრების შეფასება ძირითადად პოზიტიურია. ბენეფიციარები ხაზს უსვამენ პერსონალის მხრიდან „ადამიანურ და ყურადღებიან“ მოპყრობას. თვისებრივი კვლევის რესპონდენტების შეფასებით, **არასამთავრობო ორგანიზაციების თავშესაფრები უფრო „სახლის ტიპისაა“, და უთითებენ კომფორტულ და თბილ -, „მშობლიურ გარემოზე“;**

- რეფერირების სუბიექტებიდან თავშესაფრებს **ყველაზე მყარი და ეფექტიანი კოორდინაცია აქვთ სკოლებსა და ბაღებთან, რაც ბავშვებთან დაკავშირებული საჭიროებების ოპერატიულ მოგვარებას მნიშვნელოვნად ამარტივებს.** თუმცა, თვითმმართველობის ორგანოებთან კოორდინაცია გამოწვევად რჩება, განსაკუთრებით მაშინ, **როდესაც მუნიციპალიტეტები სერვისებზე წვდომას დამატებითი ბარიერებით ზღუდავენ**, როგორიცაა მსხვერპლის „სტატუსის“ მოთხოვნა, ბინის ქირის დაფინანსება მხოლოდ რეგისტრაციის ადგილის მიხედვით ან სერვისის მიწოდების თავშესაფარში ყოფნის პირობით განსაზღვრა. ასევე აღსანიშნავია, რომ იმ შემთხვევებში, როდესაც სახელმწიფო თავშესაფრები ან კრიზისული ცენტრები ვერ უზრუნველყოფენ ცალკეულ სერვისებს, მაგალითად, პროფესიულ გადამზადებას ან ფსიქოლოგიურ დახმარებას, ისინი აქტიურად თანამშრომლობენ არასამთავრობო ორგანიზაციებთან. ეს თანამშრომლობა ბენეფიციარებს დამატებით მხარდაჭერასა და საჭირო სერვისებზე წვდომის შესაძლებლობას აძლევს;

- არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის თავშესაფრებისა და კრიზისული ცენტრების ეფექტიანი მართვა **მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება გარე დაფინანსების ფრაგმენტულობის გამო.** „მერკურის“ მაგალითი ნათლად ცხადყოფს, როგორ შეიძლება დაფინანსების არასტაბილურობამ შეაფერხოს სერვისების მიწოდება და აიზილოს ორგანიზაცია ალტერნატიული გზების, მათ შორის საზოგადოების მხარდაჭერის მობილიზებით Crowd-funding-ის გამოყენება ძალადობაგამოვლილი ქალებისთვის უწყვეტი დახმარების გასაწევად.

„ძალიან დაბალია ცნობადობა ეკონომიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის შესახებ. ხშირია შემთხვევები, როდესაც ქალებს ოჯახი არ აძლევს ელემენტარული საჭიროებებისთვის, როგორიცაა მაგ: ჰიგიენური საშუალებები, საკმარის თანხებს. სამეგრელოში ხშირია მსგავსი სიტუაციები, სადაც ქალები დამოკიდებული არიან დედამთილებზე, რომლებიც თავად წყვეტენ, რა შეიძინონ მათთვის. კიდევ ერთი მაგალითია, როდესაც ქმარი ზამთარში ცოლს უკრძალავდა გათბობის ჩართვას, რადგან ბავშვები ბაღში იყვნენ და „მისთვის მარტო არ იყო *აუცილებელი გათბობა“* - **„საფარი“-ს იურისტი**

რეკომენდაციები:

- **ძალადობაგამოვლილი ქალებისთვის ინსტიტუციური მონიტორინგისა და შემდგომი მხარდაჭერის სერვისების დანერგვა**, რაც ხელს შეუწყობს მათ რეინტეგრაციას, დასაქმებასა და უსაფრთხო, დამოუკიდებელი ცხოვრების უზრუნველყოფას.
- **თავშესაფრებიე მიერ, მცირეწლოვანი ბავშვების მოვლის სერვისების უზრუნველყოფა**, რაც ქალებს შესაძლებლობას მისცემს, სრულად გამოიყენონ თავშესაფრის ფსიქოლოგიური, სოციალური და პროფესიული დახმარების პროგრამები, და შეუფერხებლად ჩაერთონ დასაქმების პროცესში;
- **თავშესაფრებში ფსიქოლოგიური დახმარების უწყვეტი სერვისისა და** მრავალენოვანი მხარდაჭერის ხელმისაწვდომობა, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეთნიკური უმცირესობებისა და უცხოენოვანი ბენეფიციარებისთვის;
- **მუნიციპალიტეტების სოციალური პროგრამების საკანონმდებლო ცვლილებებთან ადაპტირება, რათა სერვისებზე წვდომა „მსხვერპლის სტატუსის“ გარეშე გახდეს შესაძლებელი.** ასევე, ბინის ქირით უზრუნველყოფის პროგრამებში რეგისტრაციის შეზღუდვების მოხსნა, რათა ბენეფიციარებმა დახმარება მიიღონ იმ რეგიონში, სადაც რეალურად ცხოვრობენ და არა მხოლოდ რეგისტრაციის ადგილის მიხედვით;
- **არასამთავრობო ორგანიზაციების** მიერ თავშესაფრებისა და კრიზისული ცენტრების **უწყვეტი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად, ფინანსური მხარდაჭერის გრძელვადიანი და სტაბილური მოდელის შექმნა,** რათა თავიდან იქნას აცილებული სერვისების შეფერხება.